ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 195

"9" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №54ა-ს მიმდებარედ, შატბერაშვილის ქუჩა №56, შატბერაშვილის ქუჩა №52, შატბერაშვილის ქუჩა №54ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 აგვისტოს №1360656 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, "ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23-ე მუხლის, 4^1 პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 მაისის №04/9442 წერილის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №54ა-ს მიმდებარედ, შატბერაშვილის ქუჩა №56, შატბერაშვილის ქუჩა №52, შატბერაშვილის ქუჩა №54ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 აგვისტოს №1360656 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი